



ჯონ აპდაიკი

ბრაზილია

ოლეგინი
გაგლობუს

ჯონ აპდაიკი
ბრაზილია

John Updike
BRAZIL

ინგლისურიდან თარგმნა ზაზა ჭილაძემ

© 1994, John Updike
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015, 2023
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-829-6

www.diogene.ge

შენც კარგად იცი, ეგე წესი საერთო არის:
რაც ცოცხალია, ყველა კვდება და მიწას
სტოვებს საუკუნოსთვის.

დედოფალი, „ჰამლეტში“

მოგესალმები, ძმაო ჩემო ბრაზილიელო –
სუფრასთან გელის შენი ადგილი –
გამოწვდილ ხელს და ალალ ღიმილს
ვინ დაგამადლი!

უოლტ უიტმენი, „საშობაო მისალმება“

სარჩევი

| | |
|---|-----|
| 1. სანაპირო..... | 9 |
| 2. ბინა..... | 20 |
| 3. ძია დონაშიანუ | 36 |
| 4. ქოხმახი | 47 |
| 5. შანდალი..... | 59 |
| 6. სან-პაულუ | 66 |
| 7. ჩიკინიო | 80 |
| 8. რანჩიო..... | 87 |
| 9. დედაქალაქი ბრაზილია | 99 |
| 10. ძმები | 111 |
| 11. ქარხანა | 124 |
| 12. ავტოსადგური | 135 |
| 13. სანაყინე | 143 |
| 14. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ | 155 |
| 15. გოიასი | 162 |
| 16. საბადო | 179 |
| 17. თვითნაბადი ოქროს ნატეხი | 195 |
| 18. მატუ-გროსუ | 209 |
| 19. თავდასხმა | 223 |
| 20. მარტო ორნი..... | 227 |
| 21. სსნა | 234 |
| 22. ბანაკი..... | 247 |
| 23. მთიანეთი..... | 256 |
| 24. ისევ ბანაკი..... | 274 |
| 25. ისევ მარტო ორნი..... | 288 |
| 26. ისევ მატუ-გროსუ | 300 |
| 27. ისევ ბრაზილია..... | 311 |
| 28. ისევ სან-პაულუ | 328 |
| 29. ისევ ბინა | 343 |
| 30. ისევ სანაპირო..... | 357 |

I. სანაპირო

შავიც ყავისფერის ელფერია. და თუ კარგად დააკვირდები, თეთრიც. კოპაკაბანაზე – რიო-დე-ჟანეიროს ამ ყველაზე დემოკრატიულ, ხალხმრავალ და სახიფათო სანაპიროზე – ნებისმიერი ფერიცა თუ ელფერიც ერთ მოზეიმე, მზით გაოგნებულ, ადამიანის ხორცისფრად მთლიანდება და ქვიშას უკვე მეორე, ცოცხალი კანის ფენასავით ედება.

მრავალი წლის წინ, როცა შორეულ ბრაზილიას სამხედრო ხელისუფლება მართავდა, შობის დღესასწაულიდან არ-ცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ, თავთხელს იქით ოკეანის ტალღებში ნაცურავები, მარილიანი წყლითა და შუადლის თაკარა მზით თვალმოქრილი ტრისტაო ნაპირზე რომ გამოვიდა, ქვიშაზე გართხმულ სხეულებს უკვე ოხშივარი ასდიოდა. დეკემბრის მზე ისეთი ძალით აცხუნებდა, მოქცევის ზოლზე დროდადრო ცისარტყელას რკალები ათამაშდებოდნენ ხოლმე და ბიჭის თავს ზემოთ ცელქი ალქაჯებივით ბრჭყვიალებდნენ. მაგრამ როცა ისევ თავის მოკლემკლავებიან მაისურს დაავლო ხელი – სხვათა შორის, პირსახოცის მაგივრობასაც რომ უწევდა – სანახევროდ თვალდაბრმავებულმა მაინც შენიშნა ღია ფერის საცურაო სამოსში გამოწყობილი ფერმკრთალი გოგო,

რომელიც ზუსტად იქ იდგა, სადაც ხალხი შედარებით შეთხელებულიყო. ცოტა მოშორებით ფრენბურთის მოედნები და ფეხით მოსიარულეთა შავ-თეთრ ზოლებად მონიშნული ბილიკი მოჩანდა – ავენიდა-ატლანტიკის გასწვრივ.

იმ გოგოს მეორეც ახლდა, უფრო ტანმორჩილი და შავ-გვრემანი – სწორედ ახლა ზურგზე ლოსიონს უსვამდა მეგობარს; ცივი სითხის შეხებაზე ფერმურთალი გოგო ნელში იზნიქებოდა, მეურდი ეპზიკებოდა და უკვე აპრიალებული, მომრგვალებული თეძოები უთროდა. ტრისტაოს თვალები ეწვოდა, მაგრამ მისი მუდამ მახვილი მზერა მაინცდამაინც გოგოს სიფერმკრთალეს არ მიუზიდავს. ამ სახელგანთქმულ სანაპიროს არასდროს მოკლებია ფითქინა უცხოელები კანადიდან თუ დანიდან, ისევე როგორც სან-პაულუდან და ქვეყნის სამხრეთიდან ჩამოსული, გერმანული თუ ირლანდიური წარმოშობის ბრაზილიელი ქერა ქალები. მისი ყურადღება უფრო გოგოს საცურაო სამოსის უცნაურმა ფერმა მიიპყრო, ლამის მისივე კანის ფერს რომ იმეორებდა და საჯაროდ გაშიშვლების შთაბეჭდილებას ქმნიდა.

მთლად სრული გაშიშვლებისაც არა, რადგან გოგოს ბრტყელი, შავი ჩალის ქუდი ეხურა, ფარფლებაპრეხილი და შავ, სლიპინალენტმოვლებული. სწორედ ამნაირ ქუდს დაიხურავდა მამის დაკრძალვაზე მავანი ლებლონელი მაღალი წრის ქალიშვილი, გაიფიქრა ტრისტაომ.

– ანგელოზია თუ ბოზი? – დაეკითხა თავის ნახევარძმას, ეუკლიდეს.

ეუკლიდე ახლომხედველი იყო და როცა ეს ნაკლი ზუსტი პასუხის მოძებნაში ხელს უშლიდა, ფილოსოფიური განსჯის გუნებაზე დგებოდა ხოლმე: – ვითომ ერთი მეორეს გამორიცხავს? – მაშინვე შეუპრუნა კითხვა.

— ეს თოჯინა ნალდად ჩემი გახდება, დარწმუნებული ვარ, — იმ გზნებით წამოიძახა უცებ ტრისტაომ, მისი არსების ფსკერზე რომ თვლემდა, იქ, სადაც მისივე ბედის სურათი ფუნჯის ნაჩქარევი, მოუხეშავი მონასმებით იხატებოდა და ერთი მოძრაობით ცხოვრების მთელ მონაკვეთებს ერთბაშად, დაუნანებლად გადაშლიდა ხოლმე. ტრისტაოს სულებისა და ბედისწერის სწამდა. ჯერ ცხრამეტის იყო და აბანდონადო, მთლად უპატრონო არ ეთქმოდა, რადგან დედა ცოცხალი ჰყავდა; ოღონდ დედამისი მეძავი გახლდათ, ეგებ მეძავზე უარესიც — მთვრალი უსასყიდლოდაც უწვებოდა ნებისმიერს და თავკომბალებივით ამრავლებდა ბავშვებს თავდავიწყებისა და შემთხვევითი ვნების ჭაობში. ეუკლიდე ტრისტაოზე ერთი წლით გვიან მოვლენოდა ქვეყნიერებას, აშვარად სხვა მამის წყალობით, რაზეც ძმების გარეგნული იერის სრულიად თვალნათელი გენეტიკური განსხვავებულობა მიანიშნებდა. სკოლაში ორივემ ზუსტად იმდენ ხანს იარა, ქუჩის რეკლამებისა და აბრების წაკითხვა მოეხერხებინათ და მას მერე სულ ასე წყვილად გაპქონდათ თავი — ქურდობდნენ ან ყაჩალობდნენ, როცა შიმშილი გაუსაძლისი ხდებოდა; ერთნაირად ეშინოდათ მათი შთანთქმის მოსურნე ბანდებისაც და სამხედრო პოლიციისაც. ამგვარ ბანდებად მანანალა ბავშვები ერთიანდებოდნენ — მგლის ლეკვებივით დაუნდობლები და თან სრულიად ალალები. იმხანად რიო ჯერ კიდევ არ იყო მანქანებით ისე გადატვირთული, ისეთი სასტიკი, ღატაკი და სახიფათო, როგორც დღეს, თუმცა მაშინდელ მცხოვრებლებს ქვეყნად უფრო ხმაურიანი, გაჭირვებული და საზარელი ქალაქი მაინც ძნელად წარმოედგინათ. ბოლო დროს ტრისტაო უკვე ხშირ-ხშირად ფიქრობდა, ჩემი ხნის კაცს ქურდაცაცობა აღარ შეეფერებაო და ძალიან უნდოდა როგორმე შეედგა ფეხი რეკ-

ლამის, ტელევიზიონის, თვითმფრინავების სამყაროსაკენ ამავალ კიბეზე. და აი, სწორედ ახლა, ამ ფერმკრთალი გოგოს დანახვაზე, მფარველმა სულებმა თითქოს ჩასჩურჩულეს, ბოლოს და ბოლოს ნანატრი გზაც გამოგიჩნდაო.

სველი, ქვიშაანებული მაისური ჩაბლუჯა და ლამის დედიშობილა სხეულებს შორის დააღირა თავი გოგოსაკენ, რომელმაც ეტყობა მონადირის მოახლოება თუ იგრძნო და უცებ ქედმაღლური იერი დაედო. ტრისტაოს ნარინჯისფერ, მზით გამოხუნებულ მაისურზე ვული ვარსპვლავი ეწერა, ლებლონში გრინგოების საყვარელი რესტორნის სახელი. შავი, ვინრო, მისი მამაკაცური ლირსების ძნელად შემნიღბავი საცურაო ტრუსის შიდა, ხურდა ფულისა თუ გასაღების შესანახ ჯიბეში კი ტყავის ნაჭრისგან საგულდაგულოდ გამოჭრილ ბუდეში დაბინავებული პატარა სამართებელი ედო, მის მიერვე ბრილიანტად მონათლული. ტაივანური წარმოების ლურჯი სანდლები წინდანინვე მიემალა ეკლიანი ბუჩქის ძირას, სავალი ბილიკის კიდესთან.

უცებ გაახსენდა, რომ კიდევ ჰქონდა რაღაც: ხნოვანი ამერიკელი ტურისტი ქალის თითიდან წაგლევილი ბეჭედი, სპილენძისფერი, რომელსაც მომცრო ოვალურ ფირფიტაზე სამი ასო DAR ჰქონდა ამოტვიფრული და ეს ასოები მუდამ საგონებელში აგდებდა, რადგან თურმე „საჩუქარს“ წიშნავდა რომელიდაც უცხო ენაზე. გადაწყვიტა, ახლა ეს ბეჭედი ფერმკრთალი მზეთუნახავისთვის ეჩუქებინა, რომლის სხეულიც მის მიახლოებაზე სულ უფრო ამაყად ასხივებდა ერთდროულად შიშაც და გამოწვევასაც. მართალია, შორიდან გოგო აშოლტილი მოეწვენა, ტრისტაო მაინც მასზე ერთი მტკაველით მაღალი აღმოჩნდა. გოგოს კანის სუნმა – მზის ლოსიონისა თუ გაოცებითა და შიშით გამოწვეული ცვრის – რატომლაც კვლავ

დედისეული ქოხმახის სუნი მოაგონა, აფთიაქის სუსტ, ოდნავ თავბრუდამხვევ სუნგარეული, სწორედ იმდროინდელი, როცა ადრეულ ბავშვობაში ციებ-ცხელება მოერეოდა ხოლმე, ანდა ჭიები გატანჯავდნენ; იმხანად დედამისი ჯერ კიდევ ბოლომდე არ გამოეფიტა ლოთობას და მათი უფანჯრო, ბნელი ფაველას სიმყრალეში სწორედ ეს ქალი რჩებოდა მისთვის გულისხმიერებისა და ერთგული, ჯიუტი მზრუნველობის წყაროდ. წამალს კი ალბათ გორაკის ძირში, მდიდრების უბნის ზღვარზე, ტროლეიბუსის ბოლო გაჩერების ცოტა იქით გამართული მისიის ექიმისაგან თხოულობდა... მაშინ დედაც ალბათ ჯერ მთლად პატარა გოგო იქნებოდა, ჯერაც ისეთივე თხელი და მოქნილი, როგორც ეს ფერმკრთალი მზეთუნახავი, თუმცა არა ასეთი ნატიფი. ტრისტაო კი მაშინაც საკუთარი თავის დაპატარავებულ ასლს ჰგავდა – მისი ფუმფულა ხელები და ფეხები აფუებულ ცომს გაგახსენებდა მაშინვე, თვალები კი შავი ნათურებივით უელავდნენ ღრმა ფოსოებში; თუმცა, ცხადია ეს ყველაფერი ძალიან ბუნდოვნად შემორჩენოდა მახსოვრობას, რა თქმა უნდა ახლა უკვე ველარც ხედავდა ბავშვობის დროინდელ იმ პატარა ტრისტაოს და ეს უკვე მინავლებული, აფთიაქის სუსტი სუნიღა ჩაბეჭდილიყო მის მოგონებებში – როგორც გაბმული ტირილი ძილში. ახლა კი მარილიანი ზღვაური ამ ქერა თოჯინას სხეულს შეეხო და ტრისტაომაც თითქოს უეცრად გამოილვიდა შუადლის კაშკაშა მზის გულზე.

ჯერ კიდევ სველი, ზღვის მარილით დაშაშრული თითი ჯიუტად უძალიანდებოდა და მჭიდროდ მორგებულ ბეჭედს არ თმობდა. ხუჭუჭ, მოცისფროთმიან ხნოვან ამერიკელ ქალს ეს ბეჭედი მეორე ხელზე ეკეთა, სადაც ჩვეულებრივ საქორნინო ბეჭედს იკეთებენ ხოლმე. იმ ქალს სინელანდიაში, ქუჩის ჩამქრალი ლამპიონის ქვეშ დაუდარაჯდა, სანამ იმისი ქმარი იქვე

კუთხეში გახსნილი ლამის კლუბის სარეკლამო აბრაზე მოცეკვავე მულატი გოგოების ფოტოებს მიშტერებოდა მონუსხულივით. ტრისტაომ სამართებლის წვერი ლოპაზე დაადო და ქალიც მართლა ქუჩის ბოზივით ერთიანად მოეშვა და მოიღვენთა. სახის დაიარების შიშმა ისე დაზაფრა ცისფერთმიანი დედაბერი, თითქოს ლამის უკვე სამარეში არ ედგა ცალი ფეხი. სანამ ეუკლიდე იმისი ხელჩანთის სახელურს გადაჭრიდა, ტრისტაო სპილენძისფერ ბეჭედს ებრძოდა და უცებ, იმან და ქალმა მართლა შეყვარებულებივით გადააჭდეს თითები ერთმანეთს. ახლა კი სწორედ ეს ბეჭედი უცნობ გოგოს გაუწოდა უსიტყვოდ. ჩალის შავი ქუდის ფარფლის ჩრდილქვეშ მოქცეულ იმის სახეს რაღაც ეშმაკური სიცელქე ეტყობოდა. ქვედა ყბა ოდნავ წინ წამოსწეოდა, ჯანმრთელი, ძლიერი კბილები მოუჩანდა და თითქოს იღიმებოდა, თუმცა ტუჩებზე ლიმილის ნატამალიც არ ეტყობოდა. თავად ტუჩები ხორციანი ჰქონდა, განსაკუთრებით ზედა.

— შეიძლება, ეს მცირედი საჩუქარი მოგართვათ, სენიორიტა?

— და მაგისკენ რამ გიბიძგათ, სენიორ?

ამ თავაზიან მიმართვაშიც თითქოს ფარული ღირძნობოდა, თუმცა კი ვითარება ერთობ დაძაბული ჩანდა და გოგოს იქვე ჩაცუცქულ მეგობარსაც, რომელმაც უნებურად ისე აიფარა მეტყდზე ხელი, თითქოს საცურაო ლიფში რამე განძი აქვს შენახულიო, აშკარად შიში და შეშფოთება ეტყობოდა; არადა, მისი ეს განძი მხოლოდ ცხიმის ორი მზედაკრული გროვა იყო, სხვა არაფერი და ტრისტაოს წამითაც არ გაქცევია მათკენ თვალი.

— თქვენ ლამაზი ხართ და საკუთარი სილამაზის არ გრცხვენიათ, რაც თავისთავად დიდი იშვიათობაა.

– დღეს სირცხვილი მაინცდამაინც აღარ ფასობს.

– თუმცა თქვენი სქესის ბევრი წარმომადგენელი არ ფიქ-
რობს მასე. თუნდაც, თქვენი მეგობარი... აი, როგორ დამალა
თავისი ჯიქნები. – ჩაცუცქულმა გოგომ თვალები დააკვესა,
მაგრამ ეუკლიდეს რომ შეხედა, აღმფოთება წამსვე გაუქრა
და მხოლოდ ერთი ჩაიხითხითა. ამ სულელური, შემრიგებლუ-
რი ხმის გაგონებაზე ტრისტაომ რაღაც მსუბუქი ზიზღისმაგ-
ვარი იგრძნო. მისი მეპრძოლი სული ვერასოდეს ეგუებოდა
თანდაყოლილ ქალურ მიდრეკილებას დანებებისაკენ. ეუკ-
ლიდემ მოკლე ნაბიჯი გადადგა ქიშიშზე, თითქოს ნებაყოფ-
ლობით დათმობილ ტერიტორიას დაეპატრონაო. მას მკაცრი,
ფართო, მუქი თიხისფერი სახე ჰქონდა, სასტიკი და თან მა-
რად გაოცებული. მამამისს ეტყობა ინდიელისაც ეცხო რაღაც,
ტრისტაოს ძარღვებში კი სუფთა აფრიკული სისხლი ჩქეფდა,
იმდენად წმინდა და გაუზავებელი, რამდენადაც ეს საერთო-
დაა შესაძლებელი ბრაზილიაში.

თვალისმომჭრელ ქერა გოგოს კი თავი ერთობ ამაყად ეჭი-
რა:

– სილამაზე სახიფათოა, – პირდაპირ მიახალა ტრისტა-
ოს, – და სწორედ ამიტომ გაუჩნდათ ქალებს სირცხვილის
გრძნობა.

– გეფიცებით, ჩემგან არანაირი საფრთხე არ გემუქრე-
ბათ. მე არაფერს დაგიშავებთ, – ეს ფიცი საზეიმოდ გაისმა
და ბიჭმაც შეგნებულად სცადა ხმისთვის მეტი კაცური დამა-
ჯერებლობა მიენიჭებინა. გოგო ყურადღებით მიაჩერდა მის
სახეს: მომრგვალებულ ზანგურ ნაკვთებს ღორმუცელობის
არანაირი კვალი არ აჩნდა, ოდნავ გადმოკარკლული თვალები
ბავშვურად უბრწყინავდა, მაღალ შუბლზე ძვლები ციხე-დარ-
ბაზის ქონგურივით აჩნდა, ხვეულ შავ თმას ძლივსშესამჩნევი

სპილენძისფერი დაკრავდა და თეთრად მოკაშვაშე მზის შუქ-ზე თმის ზოგიერთ ღერს თითქოს წითელი ალი წაკიდებოდა. ამ სახეს რაღაც ფანატიკური და განრინებული ეტყობოდა, თუმცა ნამდვილად არ მოასწავებდა გოგოსთვის არანაირ საფრთხეს. ეს უთქმელადაც აშკარად ჩანდა.

გოგომ მსუბუქად გაინვდინა ხელი და ბეჭედს შეეხო, მერე წარწერაც ხმამალლა წაიკითხა და ცოტა გაპრანჭულმა, ფერმერთალი მაჯა ისეთნაირად დაძაბა, ტრისტაოს მისთვის თითზე ბეჭდის მორგება არ გაძნელებოდა. თუმცა არათითი, რომელზეც ძველ პატრონს ეკეთა ეს ბეჭედი, ამჯერად მეტის-მეტად წვრილი აღმოჩნდა და გოგოს საჩუქარი მხოლოდ შუა-თითზე მოერგო. გაშლილი თითი ისე გაიშვირა წინ, ფირფიტა მზეზე რომ აელვარებულიყო და მეგობარს ჰკითხა:

– რას იტყვი ეუდოშია, მოგწონს?

ეუდოშია ახალი ნაცნობობით ჯერაც გვარიანად შემ-კრთალი ჩანდა:

– დაუბრუნე, იზაბელ! ესენი ცუდი ხალხია, ქუჩის ბიჭები. ბეჭედიც უთუოდ მოპარული იქნება.

თვალებმოწურული ეუკლიდე ისეთი დაუინებით მიაჩერდა, თითქოს კიდევ რაღაცის ამოკითხვას ცდილობდა ეუდოშიას ისედაც მეტყველი, შეშფოთებული სახის ნაკვთებისა და ლამის ზუსტად მასავით თიხისფერი კანის მიღმა. მერელა უთხრა:

– ეს ჩვენი სამყარო ნაქურდალის გროვაა. მთელი ქონება ქურდობითაა ნაშოვნი და ვისაც ყველაზე მეტი აქვს ნაპარავი, ზუსტად ისინი გვიწესებენ კანონებს დანარჩენებს.

– ესენი კარგი ბიჭები არიან, – დაამშვიდა მეგობარი იზაბელმა. – აბა რა უნდა დაგვიშავონ, თუ გასარუჯად აქვე წამოწვებიან და დაგველაპარაკებიან? მე და შენ ისედაც თავი მოვაპეზრეთ ერთმანეთს. პირსახოცებისა და ჭინჭების მეტიც

არაფერი გვაქვს მოსაპარი. გვიამბონ თავიანთი ცხოვრების ამბავი. თუ უნდათ, ტყუილებითაც დაგვახვიონ თავბრუ – ეგ კიდევ უკეთესი.

არადა, ტრისტაოსა და ეუკლიდეს საკუთარ ცხოვრებაზე თითქმის არაფერი მოუყოლიათ, სირცხვილმა შეაკავებინათ ამისგან თავი: ვერც საკუთარი მშობელი დედით იამაყებდნენ დიდად და ვერც საკუთარი ბინა-საცხოვრებელით. საერთოდ არც ჰქონდათ ცხოვრება, მთელი მათი არსებობა მშიერი კუჭის ძახილს აყოლილ გაუთავებელ გაწამანიას გულისხმობდა და მეტს არც არაფერს. გოგოებმა კი პირიქით, ვითომ მხოლოდ ერთმანეთში საუბრობენო, ისე გამოამზეურეს მთელი თავიანთი მდიდრული და ქარაფშუტული ყოფა, თითქოს აბრეშუმის საცვლებით იწონებდნენ თავს. ხან იმ სკოლის მონაზვნებს იხსენებდნენ, სადაც თურმე ერთად დაიარებოდნენ ბავშვობაში – ჭორაობდნენ, როგორ ჰგავდნენ შესახედავად ისინი მამაკაცებს, ზოგიერთს თურმე ულვაშიც კი ამშვენებდა; ყოფილან ისეთებიც, რომლებსაც ზურგს უკან ლესბო-სელებად იხსენიებდნენ და „მამლებად“ და „ვარიკებად“ დაყოფილები, ფრიად უცნაურ სიყვარულობანას ახერხებდნენ ერთმანეთში... ზოგი მოწაფე გოგოების მიმართ ვერ ყოფილა მთლად გულგრილი, ზოგი მღვდლებს უნევდა მხევლობას ნებითა თუ იშულებით, ზოგი მოურეველი ჟინის ჩასაცხობად ჩუმ-ჩუმად მებაღესაც უხდიდა თურმე ფულს, ვიღაცეებს კი საკუთარი სენაკების კედლებზე პაპის სურათი ჰქონიათ გაკრული და მისი შეშფოთებული სახის, მუავედ მომუწული ბაგის შემხედვარე, თავადვე იქმაყოფილებდნენ თავს ლამლამობით. ისე ჩანდა, თითქოს გოგოები წიგნს კითხულობდნენ ხმამაღლა, სექსის სახელმძღვანელოს; წრეში დამსხდარი, მქარგველი დობილების სისხარტით, ოლონდ უთითებოდ, ენით ქარგავ-

დნენ რაღაც უცნაურ სიტყვიერ ქსოვილს და ამ ქსოვილის მაქმანებში ვერცხლის ძაფივით გაკრთებოდა ხოლმე მათი ჩუ-მი ხითხითი. ტრისტაო და ეუკლიდე, რომლებიც იმ სამყარო-ში ბინადრობდნენ, სადაც სქესობრივი კავშირი ჩვეულებრივი საქონელი იყო, როგორც ლვინით დალაქავებულ, გაურანდავი ხის მაგიდაზე დაუდევრად მიგდებული რამდენიმე დაჭმუჭნი-ლი კრუზეიროს ფასად ნაყიდი ლობიოს შეჭამანდი თუ გაფიც-ხებული ფარინა და რომლებსაც ქალი ჯერ კიდევ მანამდე შეეცნოთ, ვიდრე ცამეტ-ცამეტი წელი შეუსრულდებოდათ – ახლა უხერხულად დადუმებულები და თან მაინც მონუსხულე-ბი უგდებდნენ ყურს ლამის ჩაბურებამდე გამხიარულებული ამ ორი გოგოს ფანტასტიკურ ვარაუდებს.

სამონასტრო სკოლაზე ლაპარაკმა აკრძალული რადიო-მიმღებიც გაახსენათ, ერთ-ერთ მონაზონს რომ ეპოვა და წაერთმია მათთვის, ამ ამბავმა კი უკვე ტრისტაოსაც მისცა შესაძლებლობა, საკუთარი ცოდნა-განათლება გამოემჟღავნე-ბინა და სამბას, შოროს, ფოროსა და ბოსანოვაზე ჩაერთო სიტყვა, იმ ახალ-ახალ მუსიკალურ მიმდინარეობებზე, ეს-ტრადის ვარსკვლავები – კაეტანო, უილი თუ ჩიკო რომ უთ-ქვამდნენ სახელს. მერე სადღაც, მათ თავს ზემოთ არსებულ ელექტრონით გაჩახჩახებულ სამოთხეზეც ალაპარაკდნენ, საიდანაც ჩვეულებრივ მოკვდავებთან სირმებად მოციმციმე მომღერლები, ტელევარსკვლავები, ფეხბურთის ჯადოქრები თუ უბრალოდ ზღაპრულად მდიდარი ადამიანები ეშვებოდ-ნენ და დროებით თავსაც უყადრებდნენ დანარჩენებს. ოთხივე გამოცოცხლდა, ლაპარაკს არ აცლიდნენ ერთმანეთს და მათ ირგვლივაც უკვე სიყვარულისა და სიძულვილის, ჭაბუკური ფიცხი უკიდურესობის ნაპერნკლები აელვარდა, მით უფრო, რომ იმ ჩახჩახა სამოთხისგან ახლა ერთნაირად შორს იყო ოთ-

ხივე და თან, საერთოც უფრო მეტი ჰქონდათ, ვიდრე გან-სხვავება: მათივე სხეულები – ოთხ-ოთხი კიდურით, ორ-ორი თვალით, ერთი და იგივე კანით. ძველი სამყაროს ღვთისმოში-ში გლეხების მსგავსად, თითოეულ მათგანს სჯეროდა, რომ ის სამოთხე, უჩინარი ტალღებით რომ აგზავნიდა მათკენ იქაურ ახალ ამბებს, კეთილისმყოფელი ღიმილით გაბადრულ სახე-საც მაინცდამაინც პირადად მას უჩვენებდა და გულის სიღ-რმეში ისუც სწამდათ, ამ ცოური თაღის მიუწვდომელ წეერსაც სწორედ მე ვუსწორებ თვალს და არა ვინმე სხვაო.

სანაპიროს გავარვარებულ ქვიშაზე გაჩერება გაუსაძლი-სი გახდა; ყოვლისშემძლე მოთენთილობამ წელ-წელა საუბარ-საც გაუქრო გზნება. როცა მცირედი ყოყმანის მერე ეუკლიდე და ეუდოშია ლამის ერთდროულად წამოდგნენ და წყლისკენ გაემართნენ, დარჩენილ ორს შორის დაძაბულმა სიჩუმემ დაი-სადგურა. იზაპელის ხელი, რომელზეც მოპარულმა ბეჭედმა გაიელვა, ტრისტაოს გულდაგულ გაპრიალებული ვერცხლი-ვით მბზინავ მტევანს შეეხო: – წამოხვალ ჩემთან ერთად?

– ყველგან და ყოველთვის, – მიუგო ტრისტაომ.

– მაშინ, წავედით.

– ახლავე?

– სწორედ ახლა აჯობებს, – თქვა გოგომ და მორუხო-მოლურჯო თვალები მიანათა; მერე დაძაბულმა ფიქრმა ზედა, ხორციანი ტუჩი შეუთორთოლა და დაამატა: – შენთვისაც და ჩემთვისაც.

2. პინა

იზაბელი თავის გამჭვირვალე, მარაკუასავით მოყვითალო-მონარინჯისფრო კაბას დასწვდა, მაგრამ არ ჩაუცვამს, როგორც იყო საცურაო სამოსში, ისევე გამოემართა სანაპიროდან, მხოლოდ თხელი ტყავის თეთრ სანდლებში წაუყარა ფეხი და ცნობილ, შავ-თეთრ ზოლებად დაკლაკნილ სასეირნო ბილიკს გაუყვა ავენიდა-ატლანტიკის გასწვრივ. დაკეცილი კაბა და პირსახოცი ისე ედო მოხრილ მარცხენა მკლავზე, ვიღაც გამვლელი დაშინებითაც კი მიაცქერდა, ეტყობა იმის იმედით, ეგებ ამ ჭრელ საფენებში გამოხვეული ჩვილის სახეც დავინახომ. შავი ჩალის ქუდი, თითქოს ჟენიპაპუს ნაყოფის წვენით შეღებილი, მფრინავი თევშივით მიირწეოდა ჰერში ტრისტაოს წინ და ოკეანიდან მონაბერი ზღვაური ლენტის ბოლოებს უფრიალებდა. იმაზე უფრო სწრაფად, თანაც სპორტული ნაბიჯით მიაბიჯებდა, ვიდრე ბიჭი წარმოიდგენდა და რომ არ ჩამორჩენოდა, თვითონაც მოუწია ფეხის გვარიანად აჩქარება. წესრიგზე საკუთარი წარმოდგენების კარნახით, თავს ძალა დაატანა და მაინც გადაიცვა ქვიშაანებებული მაისური წარწერით ეული ვარსკვლავი; ბუჩქის ქვეშ მიმალული